



შუსაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

საქმის სახელაშუროს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია	
შეიქმედების თარიღი	08.04.19
შეიქმედების დრო	გუგუშის ტყელო
შეიქმედების №	9933/00
ფასდების რამდენობა	134049 მლნ

ნათია ბუსკაძე

მოსამართლის სახელი და გვარი

საქმე №3/2005-19

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
 2. ნატო სუბარი
 3. ლილე ჩხეტიანი
- მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მოსამართლის სახელი და გვარი

მოკასუსი: შენიშვნა-1

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6

პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

მოკასუსის წარმოგადგენელი: შენიშვნა-3

ნინო თანდილაშვილი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი		

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

გიორგი ლანჩავა	სახლის ტელ.	598845554	ელექტრონული ფოსტა
სახელი, გვარი		მობილური	

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ

არა

ნაწილობრივ

შენიშვნა-8

**მოკასუსის პროცინა მოსარჩელის მიერ მიტითეზულ
დავის ფაქტობრივ გარემოებებზე**

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მე-6 და მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-18

ზომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-19

მოკასუხის კოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძველზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

"სს "ნენსკრა ჰიდროს" ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნას არ ვეთანხმებით.

შესაგებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებზე:

"სს "ნენსკრა ჰიდროს" ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვითაა გამოცემული და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანების გამოცემისას დაცული იქნა ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა, კერძოდ:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემულია ექსპერტიზის დასკვნა N60, 2015 წლის 2 ოქტომბერი.

"გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2014 წელს მოეწყო აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც სხვა დაინტერესებულ საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან ერთად, ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც საჯარო განხილვაზე წარადგინა სამინისტროს მიერ პროექტთან დაკავშირებით მომზადებული მოსაზრებები და შენიშვნები. აღნიშნული, ასევე წერილობით გადაეგზავნა სს "ნენსკრა ჰიდროს".

პროექტის მიხედვით, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს მაღალდაწნევიან დერივაციული ტიპის ჰესს, დადგმული სიმძლავრით 280 მგვტ. პროექტის განხორციელება დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ზედა დინებებში. ჰესის მუშაობა დაგეგმილია მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ჩამნადენზე, რისთვისაც გათვალისწინებულია მდ. ნაკრას წყლის მდ. ნენსკრას ხეობაში გადაგდება. ჰესის კომუნიკაციები განლაგებული იქნება მდ. ნენსკრას ხეობის 17 კმ. სიგრძის მონაკვეთზე და შეიქმნება მაქსიმუმ 725 მ. დაწნევა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მომართვის შედეგად, 2015 წელს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება. პროექტთან დაკავშირებით შეიქმნა საექსპერტო კომისია და კომისიის დასკვნის საფუძველზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც სს "ნენსკრა ჰიდროს" დაუდგინდა სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები. აღნიშნული სავალდებულო დონისძიებები განსაზღვრული იქნა როგორც დასკვნის მიღებიდან შესაბამისი ვადის განმავლობაში, ისე მშენებლობის ეტაპზე, ექსპლუატაციაში გაშვებამდე და ექსპლუატაციის ეტაპზე. ამასთან, კომპანიას განესაზღვრა დოკუმენტების ეტაპობრივად შემუშავება და სამინისტროში წარმოდგენა, შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ პერიოდულად ხდებოდა სამინისტროში შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენა, გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით მიმდინარე წლის 15 იანვარს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის სკრინინგის განცხადება. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება 2019 წლის 17 იანვარს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი (ჭუბერის და ნაკრას თემები) ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ დამატებით ჩატარებულ იქნა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები, ბიოლოგიური და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები და სხვა. ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების შედეგების საფუძველზე, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, მათ შორის გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით შემუშავდა საპროექტო ცვლილებები. სარჩელში გამოთქმულ იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ პროექტმა განიცადა ტექნიკური და ტექნოლოგიური პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდა ადგილმდებარეობის ცვლილება და არსებითად შეიცვალა პროექტი, რის გამოც სამინისტროს

უნდა ეხელმძღვანელა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს მოვახსენებთ, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. აღნიშნული ნაწილი კი ვრცელდება კოდექსის როგორც პირველი, ისე მეორე დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებზე, რომელზეც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. როგორც უკვე აღინიშნა დამატებითი კვლევების შედეგების საფუძველზე, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, მათ შორის გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა არსებულ პროექტში ცვლილებები. დაგეგმილი ცვლილებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყო სკრინინგის პროცედურის განხორციელება, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილება. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში და წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოცემულია დასაბუთება თუ რატომ არ საჭიროებს პროექტის ცვლილებები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სარჩელში აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სკრინინგის განცხადების დანართები სამინისტროში წარმოდგენილია არასახელმწიფო ენაზე, სასამართლოს მოვახსენებთ, რომ სკრინინგის განცხადებას თან ერთვის დამატებითი კვლევის ანგარიშები, კერძოდ: 1. ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების ანგარიში და ბუნების კონსერვაციის მნიშვნელოვანი უბნების მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყების დეკლარაცია (ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება); 2. ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები; 3. გეოფიზიკური კვლევების ანგარიში; 4. ნენსკრას კაშხლის ფილტრაციისა და სადრენაჟო სისტემის შეფასება; 5. ნენსკრას კაშხლის გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით; 6. ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში; 7. მიმყვან გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებული რისკები და ექსკავაციის მეთოდები; 8. ბუნებრივი კატასტროფები და კაშხლის უსაფრთხოება. ყველა ზემოაღნიშნული დანართი სამინისტროში წარმოდგენილია ქართულ ენაზე. კერძოდ, დოკუმენტაციის ტექსტი და შინაარსობრივი ნაწილი შესრულებულია სახელმწიფო ენაზე და შესაბამისად გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. რაც შეეხება თანდართულ დოკუმენტაციაში/კვლევებში წარმოდგენილ ლითოლოგიურ ჩრილებს, ასევე გაჟონვის მგრძნობელობის ანალიზებს, მის შედეგებს და სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომელიც ლათინურად არის შესრულებული მოცემულია გრაფიკული გამოსახულებების, ფორმულების და ცხრილის სახით. აღნიშნული წარმოდგენს შესაბამის სფეროში, შესაბამისი დარგის ექსპერტ/სპეციალისტისთვის ტექნიკურ ენაზე შესრულებულ დოკუმენტს და მისი განხილვა შეუძლია აღნიშნულ სფეროში ექსპერტულ ცოდნის და გამოცდილების მქონე პირს. აღნიშნული დოკუმენტაცია რომელიც შესაძლებელია მათ შორის ამგვარი ცხრილების საშუალებით იყოს წარმოდგენილი, ასევე მნიშვნელოვანია სპეციალისტისათვის შესაბამისი შეფასების გაკეთების მიზნით.

2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად ჭუბერის ხეობის და საპროექტო არეალში არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ როგორც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული მასალებიდან ირკვევა, მდ. ნენსკრას ხეობაში, კერძოდ: ჭუბერის თემის

ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები გამოწვეული იყო მდ. ოკრილის ხეობაში, დვარცოფული ნაკადებით ტრანსფორმირებული მყარი ნატანის და მოგლეჯილი ხე- მცენარეების გამო ცალკეულ უბნებზე ნაკადების მოკლევადიანი შეგუბებებით და შემდეგ ქვედა დინებაში ექსტრემალური ხარჯის გავრცელებით. შედეგად სოფ. ქვემო მარლთან მდ. ნენსკრას წყლის ხარჯმა შეადგინა 220 მ³/წმ. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტექნიკური ნაგებობების საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას დვარცოფული ბინების გათვალისწინებით. შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს მდინარეთა კატასტროფული ხარჯების ქვედა ბიეფებში უსაფრთხო გატარებას. ამასთან სკრინინგის ანგარიშზე დანართის სახით სამინისტროში წარმოდგენილია ბუნებრივი საფრთხეების რისკების შეფასების ანალიზი, სადაც მოცემულია, ბუნებრივი საფრთხეების აღწერა, ასევე სათანადო გაანგარიშებების და პროგრამული მოდელირების საშუალებით, სხვადასხვა სცენარის მიხედვით შეფასებულია მოსალოდნელი რისკები. მიღებული შედეგების მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული დამცავი ნაგებობების საინჟინრო გადაწყვეტები და ტექნიკური პარამეტრები. რისკების შეფასება შესრულებულია 30, 100 და 300 წლიანი განმეორებადობის სცენარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ნენსკრას კაშხლის ზედა ბიეფში წარმოქმნილი კატასტროფული ხარჯების დარეგულირება მოხდება წყალსაცავის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ნეგატიური ზემოქმედების რისკებს. ნაკრას ხეობაში კაშხლის ქვედა დინებაში ექსტრემალური ხარჯების გატარების რისკი, გარკვეულად შემცირდება, ხარჯის ნაწილის წყალგამყვან გვირაბში გატარებასთან დაკავშირებით. საპროექტო მდინარეების კალაპოტებში გვერდითი შენაკადების მიერ ჩამოტანილი მყარი ნატანის ტრანსპორტირების მიზნით, პროექტი ითვალისწინებს სრული ხარჯების კაშხლების ქვედა ბიეფებში გატარებას, დაგროვილი ნატანის სრულ გარეცხვამდე. საჭიროების შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებულია ტექნიკური საშუალებების გამოყენება (წყალდიდობის შემდეგ) მდინარის კალაპოტის კორექტირებისთვის, სანაპირო ზონებში არსებული დასახლებულ პუნქტებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების მინიმიზაციის მიზნით.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, სამსახურებიდან წარმოდგენილი წერილობითი დასკვნების შესრულებაში მონაწილე სპეციალისტების მონაწილეობისა და თავად ამ დასკვნის ექვეყნებში დაყენების თაობაზე. აღნიშნული სამსახურები დაკომპლექტებულია შესაბამისი დარგის და შესაბამისი გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალიტებით, ხოლო მათ მიერ გაკეთებული დასკვნები გეოლოგიის, ჰიდროგეოლოგიის, ჰიდროლოგიის და ბიომრავალფეროვნების საკითხებში და მათი არგუმენტაცია ავტორიტეტულია სამინისტროსათვის და გასათვალისწინებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ნენსკრა ჰესის საპროექტო ცვლილებების ჰიდროლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. მდ. ნენსკრას ხეობაში დაგეგმილი საპროექტო ცვლილებები (ნენსკრა ჰესის კაშხლის და მისი მიმდებარე ტერიტორია), თავისი სპეციფიკისა და მასშტაბებიდან გამომდინარე, არ იწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გეოლოგიურ გარემოზე. რაც შეეხება მდ. ნაკრას ხეობაში დაგეგმილ ცვლილებას, სადაც დაგეგმილია წყალმიმღები ნაგებობის და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის გადატანა მდინარის ზედა ნიშნულებზე (622მ), უნდა აღინიშნოს, რომ წყალმიმღები ნაგებობისა და გვირაბის პორტალისათვის თავდაპირველად (2015წ) შერჩეული უბანი გაცილებით რთულ გეოლოგიურ პირობებში (ტექტონიკური, ლითოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით) იმყოფება ვიდრე საპროექტო ცვლილების შედეგად შემოთავაზებული ვარიანტი. წყალმიმღები ნაგებობისათვის ამჟამად შერჩეული ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი იყო 2015 წელს წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშშიც, რაც კარგად ჩანს აღნიშნულ დოკუმენტში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზეც, რომელიც მოიცავს როგორც თავდაპირველი ვარიანტის, ისე საპროექტო ცვლილების შედეგად შერჩეული წყალმიმღების უბნებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. შესაბამისად,

ნენსკრა ჰესის საპროექტო ცვლილებების გეოლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. სამინისტრომ სკრინინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი მასალების განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოიკვლია და შეისწავლა საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და დაასაბუთა, რომ პროექტში შეტანილი ცვლილებებ არ იწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. შესაბამისად სამინისტროს მიერ მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება და ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილებით სს „ნენსკრა ჰიდროს“ ვალდებულებად განესაზღვრა გარკვეული პირობების შესრულება დადგენილ ვადებში.

ამასთან აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით სხვა ვალდებულებებთან ერთად სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით N60 02.10.2015 წ. დადგენილი პირობების შესაბამისად სკრინინგის განცხადების წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით. ხოლო სკრინინგის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები წარმოადგენს 2015 წლის 10 თებერვლის N60 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს "ნენსკრა ჰიდროს" ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის NN2-110 ბრძანება კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვითაა გამოცემული და მისი ბათილად ცნობის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი არ არსებობს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

წარმოდგენილი სარჩელი უსაფუძველო და დაუსაბუთებელია, შესაბამისად გთხოვთ არ დააკმაყოფილოთ მოთხოვნა.

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-23

- მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)
- ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)
- სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

უზამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

უზამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

უზამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სხვა სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბრებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის N2-175 ბრძანება. 2 ფურცელი.

დანართი 2: სს "ნენსკრა ჰიდროს" ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები. 1 CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 2 ფურცელი და 1 CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შევჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო თანდილაშვილი

05/04/2019 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



საქართველოს გაეროს დანვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-175

ქ. თბილისი

22/03/2018

წინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის
უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს წინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:
 - ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი

მოაწეროს განცხადებებსა და მიწოდების ბრძანებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;


ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. კერესელიძისთვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი